MES 3 22 0000886994

09/08/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 26.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:40 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1.**გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.**ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3.**ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4.**ხათუნა თოდაძე** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

5.**მაკა კაჭარავა** - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი (საბჭოს მდივანი) ;
6.**ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7.**თეა მჭედლური** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8.**ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
9.**თამარ სირაძე** - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10.**ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11.**დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12.**ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13.**გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი;
14. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
15. **ირინა გველესიანი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრეპირები

სსიპ განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

3	სოფო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
5	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახელ ება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	**გვადიმერ ღლონტი**	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უსდ-ს პროფესორი	I
2	**მარინა ქორიძე**	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუმენებისტეყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	I
3	**თეა ქოიავა**	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარსიხისხის სამსახურის უდროსი, ასოცირებული პროფესორი	I
4	**მზია ბაქრაძე**	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმაანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ასოცირებული პროფესორი	I
		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის	ასისტენტ ფროფესორი	I

5	ფრიდონ ჯავარიძე	სახელმწიფო უნივერსიტეტი		
6	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III, IV
7	ნათია კალაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სოციალურმეცნიერებათა სკოლოს დეკანი	II, III, IV
8	შალვა ძებისაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	გიორგი ლომიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	ნანა ბურდული	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
11	ია ჯიმშიტაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშ ვილის სახელობის თე ლავის სახელწმიფო უნიევრს იტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი	V
12	მაგდა დავითაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევრსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	V
13	დარეჯან მარგალიტაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევრსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმღვანელი	V
14	ალექსანდრე ბენაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევრსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული დოქტორი, პროგრამის თანახელმძღვანელი	V

15	**სვიმონ ოხანაშვილი**	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევრსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი,	V
16	**მარიამ ზაქარიაშვილი**	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწმიფო უნიევრსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი,	V
17	**სალომე პირველი**	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	VI
18	**ანჟელა აბულაძე**	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
19	**მარიამ რამინაშვილი**	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	პროგრამის ხელმძღვანელი	Vi

აკრედიტაციისექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	**ვლადიმერ მარგველაშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	**ქეთევან ნანობაშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	I

3	ვერა ხუნძაკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მირანდა ნონიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ივანა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ნანა არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	II

12	**დიანა მჭედლიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:15 საათზე.

საბჭოსთავმჯდომარემსაბჭოსწევრებსგააცნოდღისწესრიგისპროექტი:

1. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შეფასების საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შეფასების საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასი) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობადღისწესრიგისცვლილებასთანდაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შეფასების საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შეფასების საკითხის განხილვა;

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასი) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია Dental Medicine
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პირობით აკრედიტებული N 820915, 27.08.2020

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტომატოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300

14	განხორციელების ადგილი	6010, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ.№35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ დიახ

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ განაცხადა თვითაცილება სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ დაწესებულებაში მას უჭირავს რექტორის მოადგილის პოზიცია სასწავლო დარგში.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2020 წლის 11 სექტემბრის №820915 გადაწყვეტილებით „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. პროგრამის ხანგრძლივობა გახლდათ 5 წელი, კრედიტების რაოდენობა 300, პროგრამა მოიცავდა 10 სემესტრს, 1 კრედიტი შეესაბამებოდა 25 საათს, სავალდებულო და არჩევითი საგნების კრედიტების თანაფარდობა გახლდათ 289/11, ხოლო სწავლების ენა ქართული. პირობითი აკრედიტაციის შემდგომ, პროგრამაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები. კერძოდ, საბუნებისმეტყველო, საბაზისო, ქცევით და სოციალურ საგნებს დაეთმო 99 კრედიტი ხოლო კლინკურ მეცნიერებებს 201 კრედიტი. პროგრამის მიზნები შესაბამისობაში იყო უნივერსიტეტის მიასთან და მიზნებთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედგების მიღწევის მიზნით განხორციელდა ახალი სასწავლო

კურსების და მოდულების დამატება. მაგალითად, „სტომატოლოგის ასისტენტი“, „კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“ და ა.შ., განხორციელდა ზოგიერთი სასწავლო კურსის მოდიფიცირება, გაძლიერდა ინტეგრირების ხარისხი, კლინიკურ კურსებში გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტის ხანგრძლივობა რაც, წინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ ხაზგასმით იყო აღნიშნული რეკომენდაციებში. ასევე საგამოცდო შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით დაგეგმილი იყო ობიექტურად სტრუქტურირებადი კლინიკური გამოცდის შეფასების სისტემა და მისი უფრო ფართოდ გამოყენება, რაც ასახული იყო შესაბამის სილაბუსებში. კლინიკური პრაქტიკის სასწავლო კურსის შესაფასებლად განისაზღვრა პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვების მეთოდი და მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო. სწავლა-სწავლება ხარისხის პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმი გახდა უფრო სისტემური, კომპლექსური და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული, დაინერგა სწავლების და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტი, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავაქლფუნქციური გახდა სტუდენტური პორტალი. პროგრამით განსაზღვრულ სხვადასხვა სასწავლო კურსებში შეიქმნა და განახლდა სალექციო მასალა, კერძოდ რიდერები.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 24-25 მაისს, ვიზიტის დროს განხორციელდა ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან, შეფასების პროცესი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შესრულდა ყველა დაგეგმილი აქტივობა, შეფასების პროცესში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებით მოთხოვნილი მნიშვნელოვანი მასალა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში, დასრულებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის დროს ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები. რაც შეეხებოდა პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ხუთივე სტანდარტი გახლდათ შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რამოდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის განვითარების მიზნით. რაც შეეხებოდა საუკეთესო პრაქტიკას, პროგრამა მოიცავდა ორიენტირებულ - დამოუკიდებელ სასწავლო კურსებს, ასევე ისეთ სასწავლო კურსებს როგორიც იყო სტომატოლოგიური კლინიკის მართვა, ლიდერობა ჯანდაცვაში, სტომატოლოგის ასისტირება. გაზრდილი იყო პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება, დახვეწილი იყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა, დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან გამოხატული იყო ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მზაობა და ხელშეწყობა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შესაბამისი დაფინანსება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებული იყო სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წინაპირობების დაკორექტირება;
2. რეკომენდირებული იყო სასწავლო პროგრამის სილაბუსებში სწავლის შედეგების დაკორექტირება;
3. რეკომენდირებული იყო სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მეცადინეობების მიხედვით ჩაშლილი ყოფილიყო პრაქტიკული სამუშაოს აღწერა;
4. რეკომენდირებული იყო პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარებული ყოფილიყო დამატებითი კონსულტაციები/ტრენინგები/სხვ. ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო სწავლის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბების და მათი გაზომვადობის მნიშვნელობა. ასევე აუცილებელი იყო პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად დამატებით განხილული ყოფილიყო პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის (მიღწევის დადასტურების შესაძლებლობის) ჭრილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს იმ შეფასებისათვის, რომელიც მათ განახორციელეს პროგრამის განვითარების პროცესში პირობითი აკრედიტაციის გადაწყვეტილების მიღებიდან მოცემულ დრომდე. დაწესებულებამ გასწია ძალისხმევა საბჭოს მიერ 2 წლის წინ დადასტურებული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულების მიზნით. აღნიშნული შრომის შედეგებს ადასტურებდა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება. დაწესებულება, ასევე, გამოხატავდა მზაობას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული 4 რეკომენდაციის გასათვალისწინებლად და შესასრულებლად.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა დამაზუსტებელი შეკითხვა ინსტიტუციასთან. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკული მეცადინეობები მეტად მნიშვნელოვანი იყო მომავალი სტომატოლოგებისათვის. მას აინტერესებდა დაწესებულების დამოკიდებულება პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებისადმი პანდემიის პირობებში.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა შეკითხვა ექსპერტებთან. ერთ-ერთი რეკომენდაცია მოითხოვდა სილაბუსების იმგვარად დაკორექტირებას რომ ის კორელაციაში მოსულიყო სწავლის შედეგებთან. მისი შთაბეჭდილებით, რეკომენდაციიდან გამომდინარე სილბუსებში არ იყო ასახული სწავლის ის შედეგები, რომელზეც გადიოდა სასწავლო კურსი.
ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგები თავისი შინაარსით იყო აბსოლუტურად რელევანტური და შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსისა, რეკომენდაციაში საუბარი იყო აღნიშნული შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბებაზე. რიგ შემთხვევაში შედეგში მოცემული იყო ტერმიოლოგია „აცნობიერებს“, „შეუძლია“, „შეძლებს“, რაც წარმოადგენდა არა შინაარსობრივ შეუსაბამობას, არამედ უფრო ტექნიკურად დასახვეწ გარემოებას. ვიზიტის მსვლელობისას, ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის განმახორციელებლებს, სადაც ყველამ უკლებლივ დაადასტურა, რომ მათ ჰქონდათ გავლილი არაერთი ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმირების საკითხებთან დაკავშირებით, ჰქონდათ მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან. თუმცა მაინც გამოიკვეთა შედეგების ტექნიკურად სწორად ჩამოყალიბების საჭიროება, რაც არ გულისხმობდა შინაარსობრივ პრობლემას.
ექსპერტმა, ვერა ხუნძაკიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა სწორად აკადემიური პერსონალისათვის დამატებითი ტრენინგების განხორციელებას ტექნიკური ხარვეზების სამომავლოდ აცილების მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა ქოიავამ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზი უკავშირდებოდა კომპეტენციებს ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა, ავტონომიურობა. აღნიშნული იყო დიფერენცირებული რიგ სილაბუსებში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა აღნიშნულ საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უნდა ყოფილიყო თუ არა სილაბუსებში სწავლის შედეგების დიფერენცირება ჩამოყალიბებული.
ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ დეტალურად არ უნდა ყოფილიყო ჩაშლილი თუ რას მოიაზრებდა თითოეული კომპეტენცია, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არაკორექტულ ფორმულირებას. მაგალითად, ცოდნის და უნარის კომპეტენციები იყო წარმოდგენილი ერთ წინადადებაში, რაც ართულებდა გაზომვადობას და მკაფიო განსაზღვრებას. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი იკვეთებოდა მხოლოდ რამოდენიმე სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ქორიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ მიიღო და გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია, სილაბუსები ჩასწორდა და უფრო დეტალურად გაიწერა შედეგები კომპეტენციების შესაბამისად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მიმართა ექსპერტებს და განაცხადა, რომ მეორე სტანდარტის 2.6 კომპონენტში წარმოდგენილი იყო რჩევა „სპეციალობის საგნების სილაბუსებში სადაც გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, მითითებული იყოს შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტებისათვის თავიდანვე გასაგები იყოს თუ როგორ მოხდება მისი კლინიკური უნარების შეფასება“. მან სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ თუ რა რეალური პრობლემა იყო აღნიშნულ შემთხვევაში, ვინაიდან ნარატივის მიხედვით არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი, თუ რამდენ სილაბუსზე იყო საუბარი და რამდენად გამჭვირვალე იყო შეფასების სისტემა. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტისათვის შეფასების სისტემა არ იყო გამჭვირვალე თუნდაც რამოდენიმე სილაბუსში, ხომ არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული რჩევა მისი დატვირთვიდან გამომდინარე რეკომენდაცია.
ექსპერტმა, ქეთევან ნანობაშვილმა განაცხადა, რომ საუბარი იყო სპეციალობის რამოდენიმე სილაბუსზე. აღსანიშნავი იყო, რომ პრაქტიკული უნარების გამომუშავება გახლდათ ერთ-ერთი მთავარი მიზანი სტომატოლოგისათვის. ინსტიტუციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს კარგად გამოიკვეთა მათი კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული რჩევა ეხებოდა რამოდენიმე სილაბუსს, სადაც სასურველი იყო უფრო მკაფიოდ ჩაშლილიყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება. უშუალოდ შეფასების სისტემა არ იყო გაუმჭვირვალე, არ აღინიშნებოდა კომპეტენციების შეუსაბამობა, პროგრამის კიდევ უფრო მეტად დახვეწის მიზნით გაიცა მოცემული რჩევა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაზუსტების მიზნით განაცხადა, რომ ნარატივში საუბარი იყო მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვაზე, მას აინტერესებდა აღნიშნული რჩევა ეხებოდა მხოლოდ ამ ნაწილს თუ კრიტერიუმების ფორმულირებასაც.
ექსპერტმა, ქეთევან ნანობაშვილმა განაცხადა, რომ რჩევა ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ ნარატივში აღნიშნულ მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის საკითხს. საუბარი იყო მხოლოდ რამოდენიმე კონკრეტულ სილაბუსზე. მოცემული რჩევის გათვალისწინება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა შედეგებზე გასვლას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ 5.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა წინა აკრედიტაციის დროს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები 5.2 კომპონენტში შესრულებული იყო თუ არა. ასევე ვინაიდან რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების ფორმულირებას გაზომვადი ზმნებით, ხომ არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული რეკომენდაცია 1.2 კომპონენტში წარმოდგენილი 5.2 ის ნაცვლად.
ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ როგორც დარგობრივი ისე ტექნიკური ხასიათის ყველა რეკომენდაცია იყო შესრულებული. წინა რეკომენდაცია მოითხოვდა შედეგების გაწერას ბლუმის ზმნების მიხედვით. ვინაიდან ბლუმის ზმნების გამოყენება არ იყო იდეაფიქსი, უმთავრესი იყო შედეგები ყოფილიყო მკაფიო და გაზომვადი და გამოეხატა ის თუ რისი დადასტურება და გაზომვა იქნებოდა შესაძლებელი. ვინაიდან რამოდენიმე სილაბუსში გამოიკვეთა შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებული საკითხი, გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია. მთლიანობაში საუბარი იყო სასწავლო კურსების ძალიან მცირე ნაწილზე, სადაც გამოიკვეთა დახვეწის საჭიროება.
დაწესებულების წარმომადგენელმა პანდემიის პირობებში პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც ყველა უნივერსიტეტი, პანდემიის დაწყების შემდგომ მათი უნივერსიტეტიც დადგა გამოწვევის წინაშე. იქედან გამომდინარე რომ უნივერსიტეტს იმ პერიოდისათვის ჰქონდა სასწავლო პროცესზე მორგებული, კარგად გამართული ელექტრონული პლატფორმა საშუალება მიეცათ, რომ მყისიერად გადაეტანათ სასწავლო პროცესი ონლაინ რეჟიმში. მას შემდეგ რაც მიიღეს რეგულაცია იმის თაობაზე, რომ ჯანდაცვის სფეროში პრაქტიკული კომპონენტი გადატანილი ყოფილიყო საუნივერსიტეტო სივრცეში, დაწესებულებამ უმოკლეს დროში შეძლო, რომ მხოლოდ სალექციო კურსები

წარემართა ონლაინ რეჟიმში, ხოლო პრაქტიკული და კურაციული მეცადინეობა განხორციელდა საუნივერსიტეტო სივრცეში. დაწესებულებას გააჩნდა საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც განთავსებული იყო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ასევე სტუდენტებს ჰქონდა საშუალება პრაქტიკული მეცადინეობები განეხორციელებინათ იმ ბაზებზე, სადაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წინაპირობების დაკორექტირება;
2. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში სწავლის შედეგების დაკორექტირება;
3. რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მეცადინეობების მიხედვით ჩაშლილი იყოს პრაქტიკული სამუშაოს აღწერა;
4. რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარდეს დამატებითი კონსულტაციები/ტრენინგები/სხვ. ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სწავლის შედეგების

მკაფიოდ ჩამოყალიბების და მათი გაზომვადობის მნიშვნელობა. ასევე აუცილებელია პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად დამატებით განხილული იყოს პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის (მიღწევის დადასტურების შესაძლებლობის) ჭრილში.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შეფასების საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	0171, თბილისი, ბაგები, კოსტავას ქ.№77

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ირინა გველესიანმა (ოჯახის წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან) და ნათია ზედგინიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორესაკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა მაჩიტიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იქნა „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის 1,2 და მე-4 სტანდარტის მიხედვით. პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილი შესაბამისობით. კერძოდ, მეორე სტანდარტის 2.3 და 2.6 კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანი, სისტემატიური და უწყვეტი შეფასებისთვის საჭირო იყო მათი ფორმულირება აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით, განსაკუთრებით ყრადღება მისაქცევი იყო პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილზე;
2. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, განსაკუთრებით ეს ეხებოდა სავალდებულო სასწავლო კურსებს, საჭირო იყო სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა და

აქტიური ზმნების გამოყენება, რაც მისცემს საშუალებას, სწავლის შედეგების მიღწევადობა მეტად ეფექტიანად შეფასებულიყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ;

3. რიგი სასწავლო კურსების ფარგლებში, რეკომენდირებული იყო დაშვების წინაპირობების დაზუსტება, რათა მიღწეული ყოფილიყო სწავლის შედეგები და მასალის ათვისება;
4. მიზანშეწონილი იყო შეფასების კომპონენტები მეტად მრავალფეროვანი გამხდარიყო, რათა სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეფექტიანად შეფასებულიყო სტუდენტების მიერ გავლილი მასალის ათვისება და სწავლის შედეგების მიღწევა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის, რომელიც დაწესებულებისათვის მისი ხასიათიდან გამომდინარე მეტწილად მისაღები იყო. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას საგნების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, კრიტერიუმები განხილული იყო როგორც აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების სივრცე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ახალ სასწავლო წელს და ყოველ სემესტრში მათ ჰქონდათ კომუნიკაცია ლექტორებთან, რათა გადაეხედათ და განახლება მოეხდინათ შეფასების კრიტერიუმებისათვის. თავად პროცესი მუდმივად განახლებადი იყო. შესაბამისად, დაწესებულება არ ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას. რაც შეეხებოდა ზოგიერთი საგნისათვის წინაპირობის განსაზღვრას, საუბარი ეხებოდა საგანს „შესავალი პოლიტიკაში“, რადგანაც ეს საგანი შესავალია, საწყისი ფუნდამენტური საგანი, რომელშიც პირველი ოთხი კვირის მანძილზე განიხილება ისეთი საკითხები, რაც დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციის თანახმად არ მოითხოვს წინაპირობების განსაზღვრას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას 2019 წელს მიენიჭა აკრედიტაცია, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ძალაში იყო მინისტრის 120/ნ ბრძანება, აკრედიტაციის მიღებიდან ერთ თვეში განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტის ცვლილება და დამტკიცდა ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო. არაგეგმიური მონიტორინგის მიზანი, რომელიც განახორციელა ექსპერტთა ჯგუფმა გახლდათ შესაბამისობის დადგენა პროგრამის კვალიფიკაციის მიმართებით ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროგრამის კვალიფიკაცია შესაბამისი იყო ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 15:40
დასრულებისდრო: 16:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:
შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. მესამე საკითხი: სსიპ უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შეფასების საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N150, 02.07.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერების ბაკალავრი ეკონომიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა 0311

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N77ა, თბილისი 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ირინა გველესიანმა და ნათია ზედგინიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭებოდა კვალიფიკაცია, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით გასასწორებელი იყო და ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია. გარლვეულწილად ექსპერტთა ჯგუფისათვის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა რთული იყო იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რაც ოფიციალურად მოეთხოვებოდა ინსტიტუციას არაგეგმიური მონიტორინგის პროცესის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფს მოუწია მთელი რიგი დოკუმენტების გამოთხოვა, რასაც უფრო მეტი დრო და ექსპერტების უფრო მეტად ჩართულობა დასჭირდა. ინსტიტუციამ წარმოადგინა დოკუმენტების გარკვეული ნაწილი, რაც მათი თვალსაზრისით იყო მომზადებული, ხოლო დარჩენილ ნაწილზე, იგივე კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით, მათ ჰქონდათ საკუთარი პოზიცია, რაც ასევე წარმოადგინეს მოგვიანებით მათ მიერ გადმოგზავნილ საპასუხო წერილში.
რაც შეეხებოდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, სრული შესაბამისობით შეფასდა პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი, მეორე სტანდარტის 2.1, 2.3, 2.5, 2.4, და 2.6 კომპონენტები. მეტქწილად იქნა შეფასებული პირველი სტანდარტის 1.2 და მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტები. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებული იყო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება განხორციელებულიყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.
2. რეკომენდირებული იყო ტექნიკური ხარვეზის გასწორება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია მითითებული ყოფილიყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

აღსანიშნავი იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უკუკავშირის წერილი ინსტიტუციისაგან, გარკვეული ასპექტები ჯგუფმა გაითვალისწინა და რეკომენდაციების ნაწილი ფორმულირებული იქნა რჩევების სახით, თუმცა მათი მოსაზრებით სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყო პროგრამაში დიდი რაოდენობით და შესაძლებელი იყო მათი გაერთიანება და ფორმულირება აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, შესაძლებელი იყო სხვადასხვა ვარიანტები კვალიფიკაციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, იმისათვის რომ პროგრამის დასრულების შემდგომ ნათელი ყოფილიყო რა ტიპის კვალიფიკაციას მიიღებდა კურსდამთვარებული. დასკვნაში ექსპერტებს აღწერილი ჰქონდათ შესაძლო კვალიფიკაციის ვარიანტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს არაერთი დამატებითი დოკუმენტი, რამაც ხელი შეუწყო დადგენილი ყოფილიყო ის გარემოებები რასაც წარმოადგენდა წარმოების მიზანი. აღსანიშნავი იყო რომ მინისტრის 120/ნ ბრძანების შესაბამისად შესაძლებელი იყო მიმართულებათაშორისი დარგის კუთხით კვალიფიკაციის მინიჭება. შესაბამისად, წინამდებარე კვალიფიკაციად განსაზღვრული იყო სოციალური მეცნიერების ეკონომიკის ბაკალავრი. 2019 წლის მარტიდან, როგორც კი დამტკიცდა ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო, მასში ზუსტად განისაზღვრა თუ რა მიმართულებით რომელი კვალიფიკაციის მინიჭება იყო შესაძლებელი. ინსტიტუცია ტექნიკურად ვერ შეცვლიდა კვალიფიკაციას მანამ სანამ არსებული წარმოების ფარგლებში არ დადგინდებოდა პროგრამის შესაბამისობა მოსალოდნელ კვალიფიკაციასთან. მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდება შესაბამისობა, ინსტიტუცია უზრუნველყოფს კვალიფიკაციის კორექტირებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასების პროცესში მათ მიიღეს ღირებული რეკომენდაციები და რჩევები, ინსტიტუცია ნაწილობრივ დაეთანხმა ექსპერტების

მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციას. სწავლის შედეგები დაყოფილი გახლდათ სამ ბლოკად, ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა. ექსპერტების პოზიციის თანახმად უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული სამი ბლოკიდან მსგავსი შინაარსის მქონე შედეგები ერთ ბლოკად გაერთიანებულიყო. მათი პოზიციის თანახმად, ინსტუტუცია მოერიდებოდა შედეგების გაერთიანებას და შედეგები დარჩებოდა წარმოდგენილი სამ ბლოკად. შედეგების გამსხვილება არ შცვლიდა კომპეტენციას, არ ცვლიდა პროგრამას არსობრივად და, შესაბამისად, შედეგების ტექნიკურად გადალაგების საკითხზე ინსტიტუცია იფიქრებდა სამომავლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო 2019 წელს დამტკიცდა, მას აინტერესებდა თუ რატომ არ განხორციელდა 2022 წლამდე კვალიფიკაციის ცვლილება და შესაბამისობაში მოყვანა ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც დამტკიცდა ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო, ამავე დროს განისაზღვრა არაგეგემიური მონიტორინგის განხორციელების ვადები საგანმანათლებლო პროგრამებზე დარგების მიხედვით საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. შესაბამისად, აღნიშნული წარმოების ფარგლებში, მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ინსტიტუციას შესაძლებლობა ექნებოდა განეხორციელებინა კვალიფიკაციის ცვლილება და მისი შესაბამისობაში მოყვანა ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ახალი, მოდიფიცირებული პროგრამა იმ მიზნით, რომ სამომავლოდ განეხორციელებინა კვალიფიკაციის ცვლილება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა არ შეცვლილა და არ იყო წარმოდგენილი ახალი ფორმით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა პროგრამის შესაბამისობა შინაარსობრივად ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ კვალიფიკაციებთან და მას შემდეგ, რაც აღნიშნული წარმოების შედეგი დადგებოდა საბჭოზე, დაწესებულება უზრუნველყოფდა კვალიფიკაციის ცვლილებას.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:45

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 13

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს რეკომენდაციების გათვალისწინებით;
2. რეკომენდირებულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია მიეთითოს სქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამის მიზანი იყოს რეალისტურად განსაზღვრული შესაბამის კვალიფიკაციასთან ძირითად სასწავლო კურსებთან ბმაში;
- სასურველია პროგრამის ბიუჯეტი ასახავდეს ხარჯების განაწილებას ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება, წიგნადი ფონდის შევსება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სტუდენტური აქტივობები და სხვა.

4. მეოთხესაკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№497867, 28.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბაკალავრი ფსიქოლოგიაში

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფსიქოლოგია 0313
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0175, მ. კოსტავას ქ.N77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ირინა გველესიანმა და ნათია ზედგინიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხესაკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის N497867 გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 28 მაისი. მიმდინარე წლის 31 მაისს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევის შესასრულებლად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის, აკადემიური პერსონალის განვითარების დსა სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახური, პროგრამაში ჩართულია კადემიური დამოწვეული პერსონალი.
ექსპერტის განმარტებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებისათის საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა სამიზნე ნიშნულებისა და სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც ნაჩვენებია სამიზნე ნიშნულების მონიტორინგის და შეფასების სქემა; ასევე წარმოადგინა დოკუმენტების სია, სადაც გაბნეულია საბაკალავრო ნაშრომის მომზადების წესების სხვადასხვა დოკუმენტში, მაგალითად, „საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების მიმართ მოქმედი წესები“, „საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი“ საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია და სხვ. ასევე განაცხადა, რომ დაწესებულება აგრძელებს მუშაობას პერსონალის კვლევით აქტივიბებში ჩართვასთან დაკავშირებით, ამის დასტურად კი მან წარმოადგინა 4 კვლევითი პროექტის რომელიც წარდგენილია სსიპ - შოთა რუსთველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.
საბჭოს წევრმა იკითხა ამ ეტაპისათვის, რამდენი აკადემიური პერსონალი ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მქონე 5 აკადემიური პერსონალია, გარდა ამისა პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სხვადასხვა მიმართულების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:10

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5.მეხუთესაკითხი: სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N544217, 09.06.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612, ინფორმაციული ტექნოლოგიები
12	სწავლების ენა	ქართული
		240

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თელავი, 2200, ქართული უნივერსიტეტის ქ.№1, სასწავლო კორპუსი №1.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეა მჭედლურმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთესაკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტმა, ნანი არაბულმა, განაცხადა, რომ განსახილვევ საგანმანათლებლო პროგრამას 2021 წლის 09 ივნისს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, და გაცემული რეკომენდაციების (გაცემული იყო 19 რეკომენდაცია) შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრათ ერთი წელი.

ექსპერტმა, ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი ეხებოდა აკრედიტაციის სტანდარტის 2,2 და 2,3 კომპონენტებს, კერძოს გასაძლიერებელი იყო თემატიკები, გადასახელი ძირითადი ლიტერატურა და ა.შ. მან გამნარტა, რომ რეკომენდაცეციების უმეტესი ნაწილი შესრულებულია. თუმცა არის გარკვეული რეკომენდაცია, რომელიც მის მიერ ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა. ყურადღება გაამახვილა რეკომენდაცოეაზე, რომელიც ეხებოდა ძირითადი ლიტერატურის განახლებას, და განმარტა, რომ უსდ-ს მიერ გამოგზავნილ სილაბუსებში განახლებული იყო ლიტერატურა, თუმცა თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებში ლიტერატურის განახლების საკითხი ვერ შეფასდა, რადგან ამის შესახებ ინსტიტუციას არ ჰქონდა წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის გამოც აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა, როგორც ნაწილობრივ შესრულებული.
ექსპერტმა, ნანი არაბულმა 2,6 კომპონენტში გაცემილ რეკომენდაციესთან დაკავშირებით (გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომ ითვალისწინებდნენ კურსის სპეციფიკას და არ იყოს უნიფიცირებული;) განმარტა, რომ ძირითად სილაბუსებში შეფასების სისტემა კვლავ უნიფიცირებული იყო, ასევე აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკებში წერია ისეთი მეთოდი, რომელიც არ ეხებოდა ამ სასწავლო კუსს. ასევე შეეხო 5,3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას (რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად განახორციელოს პროგრამის სწავლის შედეგების (ცოდნა,უნარები, პასუხილმგებლობა და ავტონომიურობა) მიღწევის მონიტორინგი.) აღნიშნა, რომ უსდ-მ წარმოადგინა შეფასების ფორმა, თუმცა ამ ფორმაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო სტუდენტის შეფასების მონიტორინგზე, ხოლო რაც შეეხება სხვა დაინტერესებული მხარეების შეფასებას, მაგალითად დამსაქმებლების მხრიდან, აკადემიური პერსონალის და ა.შ., არ იყო წარმოდგენილი, რის გამოც აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა ალექსანდრე ბენაშვილმა, ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციებში მითითებული სასწავლო კურსების გარდა, ლიტერატურა განახლდა სხვა სასწავლო კურსებშიც და დასძინა, რომ ლიტერატურის განახლება უწყვეტი პროცესია და უსდ კვლავ გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციაც შეასრულეს, თუმცა ორ სილაბუსში, დაპროგრამების ენები და c++, საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე უსდ-მ იმსჯელა და გააერთიანა ეს ორი სასწავლო კურსი, რომელშიც გათვალისწინებულია დაპროგრამების ენები C და C++, ასევე განახლდა მისი ძირითადი ლიტერატურაც და შეიცვალა სტუდენტთა შეფასების სისტემაც. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის წინაპირობა სასწავლო კურსისა „მონაცემთა სისტემა და ალგორითმები“, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, რომ დაპროგრამების ორივე ენაზე შეძლონ მუშაობა. შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასწალლო კურსების გარკვეული ნაწილი ერთი მიმართულების საგნებია და მათი შეფასებაც ერთი და გივე მეთოდებით შესაძლებელია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან მარგალიტაშვილმა ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკრედიტაციისათვის 2021 წელს წარმოდგენილ დოკუმენტაციებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასება და მათი ანალიზი და ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2016 -2021 წელს და ადამიანური რესურსების კმაყოფილების შეფასება, რომელიც მოიცავდა 2018-2020 წლებს. დარეჯან მარგალიტაშვილმა გამნარტა, რომ უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს გამოკითხვებს (სემესტრულად) და წელიწადში ერთხელ ხდება გარკვეული ნაწილის განხილვა

(ესეც სემესტრების მიხედვით). სასწავლო წლის ბოლოს აუცილებლად ხდება სტუდენტთა მიღწევების, სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამამ 2021 წლის ივლისის თვეში მიიღო ალრედიტაცია, შესაბამისად, დაწესებულებამ შეძლო მხოლოდ იმ გამოკითხვის შეფასების შედეგებისა და ანალიზის წარმოდგენა, რაც მუშავდება პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ, ხოლო დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვის ანალიზს უსდ ამ ეტაპზე ვერ წარმოადგინა, რადგანაც რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოსადგენი ჰქონდათ 09 ივნისამდე, ხოლო ამ პერიოდისათვის აღნიშნული ინფორმაცია არ იყო ჯერ დამუშავებული და ანალიზი გაკეთებული. თუმცა, დასკვნის ჩაბარების შემდგომ 2022 წლის 14 ივლისს უსდ-მ წარმოადგინა ყველა დოკუმენტი, რომელიც ამ ეტაპისათვის მზად ჰქონდათ. მისი მოსაზრებით საგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნული პერიოდისათვის გააკეთა ყველაფერი, რომ გაცემული რეკომენდაციები შეესრულებინა.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 17:45
დასრულებისდრო: 17:55

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსესაკითხი: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.05.2021, №453697
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI

9	კვალიფიკაციის დასახელება	
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქ.№46 თბილისი, 0102
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსესაკითხისზეპირიმოსმენა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ 2022 წლის 23 ივნისს მან შეაფასა „დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 14 რეკომენდაცია, შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სრულად შესრულებული იყო 11 რეკომენდაცია, მეტწილად იყო შესრულებული 2 რეკომენდაცია, ხოლო ერთი რეკომენდაცია შესრულებული იყო ნაწილობრივ.
პირველი რეკომენდაცია „მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია შემდგომში მათი გაზომვადობის მისაღწევად“ გახლდათ ნაწილობრივ შესრულებული, პროგრამაში თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ძალიან ბევრი სწავლის შედეგი, მოხდა აღნიშნული შედეგების ოპტიმიზაცია და პროგრამაში განისაზღვრა 8 შედეგი. სასწავლო კურსების შედეგები დაჯგუფდა კომპეტენციების მიხედვით, მაგრამ მიუხედავად ამისა გარკვეული შედეგები ფორმულირებების თვალსაზრისით კიდევ ერთხელ საჭიროებდა გადახედვას და გაზომვადი ზმნებით გამოსახვას.
მეოთხე რეკომენდაცია „დაიხვეწოს კომპეტენციების რუკა, რათა მკაფიო გახდეს პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა. აღნიშნული კომპეტენციების რუკა უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს“. დაწესებულებას შექმნილი ჰქონდა მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აჩენებდა მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთკავშირს. ასევე შედგენილი იყო სწავლის შედეგების და პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა, რომელიც ასევე აჩვენებდა თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფდა კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. თუ რა დონეზე გადიოდა თითოეული სასწავლო კურსი აღნიშნული იყო ნუმერაციით. მაგალითად 1. გაცნობა, 2 გაღრმავება და ა.შ. თვითონ რუკაში იყო ჩანაწერი, რომ რომელიღაც საგანი გადიოდა 1/2 ანი გაცნობა/გაღრმავებაზე. ასეთი კონბინაციები იყო ბუნდოვანი, რაც საჭიროებდა უფრო მეტ სიცხადეს. ვინაიდან შეფასების პროცესი მოიცავდა მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლას და ექსპერტს არ ჰქონდა დაწესებულებასთან კომუნიკაციის საშუალება, შესაძლებელი იყო მათ ჰქონდათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია.
მეხუთე რეკომენდაცია: „კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა“. კონკრეტულად ამ პროგრამისათვის შეიქმნა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა დოკუმენტაციის მიხედვით დაწესებულება დაკვირვებას გეგმავდა მას შემდეგ რაც დასრულდებოდა სასწავლო პროცესი. მიზანშეწონილი იქნებოდა სწავლის შედეგებზე დაკვირვება დაგეგმილი ყოფილიყო ეტაპობრივად და გაწერილი ყოფილიყო აკადემიური წლების მიხედვით, თუ რომელ სწავლის შედეგზე იქნებოდა ფოკუსირებული დაკვირვება. ვინაიდან მიმდინარე პროცესში უფრო ნათლად გამოჩნდებოდა თუკი რაიმე ცვლილებები იქნებოდა გასატარებელი.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ როგორც ექსპერტმა ახსენა განახორციელეს სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია როგორც სასწავლო კურსებში, ასევე სწავლის შედგებში, თუმცა ინსტიტუცია კიდევ ერთხელ გადახედავა აღნიშნული ოპტიმიზაციის საკითხს და გაითვალისწინებდა ექსპერტის რჩევას. რაც შეეხებოდა მეოთხე რეკომენდაციას, სწავლის შედეგები გაიწერა ინსტრუქციის შესაბამისად განვითარების სამი პროგრესული დონის მიხედვით, რაც იყო გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების დონე, პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვადასხვა კურსის ლექტორებთან ერთად გაკეთდა ისე, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი გადის მაგალითად, პირველ და მეორე დონეზე გაცნობა/გაღრმავების დონეზე ან გაღრმავება/განმტკიცების დონეზე, თუმცა ეს ეხებოდა მხოლოდ რამდენიმე კურსს. რაც შეეხებოდა მესამე რეკომენდაციას სწავლის შედეგების გაზომვასთან დაკავშირებით, პროგრამა არის ახალი, ერთი წელი იყო გასული, რაც პროგრამა ფუნქციონირებდა და მათ, შესაბამისად, გაწერილი ჰქონდათ რომ პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა უნდა განხორციელებულიყო აკადემიური სასწავლო წლის ბოლოს და ვინაიდან სასწავლო წელი ახალი დასრულებული იყო მოხდებოდა სწავლის შედეგების შეჯამება, შეფასება და გაზომვა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დასვა შეკითხვა, თუ როგორი იყო აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების სტრატეგია და ხომ არ იგეგმებოდა ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის გამოყოფა აღნიშნული აქტივობების ხელშეწყობის მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თანხები პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, მათი ახალი ბიუჯეტი გაზრდილი იყო აღნიშნული თვალსაზრისით და აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულება ხელს უწყობდა მისი პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ასევე დაწესებულება ხელს უწყობდა პერსონალს სტატიის გამოქვეყნებაში, კონფერენციებში მონაწილეობაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 18:15
დასრულებისდრო: 18:30

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულადგამოცხადდა 2022 წლის26ივლისს 18:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა